

ყველას, ვინც ფრაიბურგში ცხოვრობს, უნდა ქონდეს ხმის მიცემის უფლება!

## ჩვენ ვირჩევთ!

2009 წლის 7 ივნისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდება, რის შედეგადაც აირჩევა ფრაიბურგის სათათბირო საბჭო. ფრაიბურგის მხარეში ამჟამად 157.000 სრულწლოვანი ამომრჩეველი ცხოვრობს, რომელიც 3 თვეზე მეტი ხანია ფრაიბურგშია დარეგისტრირებული. მათ შორის 8.700 ამომრჩეველი ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეა არიან. მაგრამ 13.500 მოქალაქეს არ აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, რადგან ისინი არ არიან გერმანიის და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები და აქედან გამომდინარე, მათ არა აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება. ფრაიბურგის ოფიციალურ საარჩევნო უბანს ჩვენ დაეუმჯობესოთ საარჩევნო ოლქი სახელწოდებით „საარჩევნო ოლქი 100%“, სადაც 7 ივნისს ფრაიბურგში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს საშუალება მიეცემათ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში სიმბოლურად.

ყველას, ვინც ფრაიბურგში ცხოვრობს, განურჩევლად იმისა, თუ ვინ სად არის დაბადებული ფრაიბურგსა თუ ჰამბურგში, მადრიდში, ანკარაში თუ დუალაში, ყველას პირდაპირ ეხება ისეთი საკითხები, როგორცაა სატრანსპორტო საშუალებათა ფასები, ბაგა-ბაღებში არსებული ადგილების რაოდენობა, ბინათმშენებლობის საკითხები. განურჩევლად დაბადების ადგილისა თუ მოქალაქეობისა, ყველა სრულწლოვან მოქალაქეს უნდა შეეძლოს აირჩიოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. სწორედ ამ აზრს იზიარებს ფრაიბურგის ემიგრანტთა ასოციაცია, ადგილობრივი სათათბირო საბჭო და ქალაქის მერი. თუმცა, ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემის უფლების საკითხებს წყვეტს ბუნდესტაგის 2/3 ხმების უპირატესობა.



საყოველთაო, ღია და ფარულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არის დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის უმთავრესი პრინციპი. ჩვენი უცხოელი მოქალაქეების არჩევნების პროცესებში ჩართვა ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესის განვითარებას და საზოგადოებრივი და პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის ნიმუშს. ევროკავშირის 27 ქვეყნიდან 17 ქვეყანაში ეს უკვე დიდი ხნის აპრობირებული პრაქტიკაა.

მოგიწოდებთ 7 ივნისს, სხვებთან ერთად, ნუ იტყვით უარს ჩვეულ საკვირაო გასირებაზე და დაუკავშირეთ იგი საარჩევნო ყუთთან მისვლას, გააკეთეთ თქვენი არჩევანი და საარჩევნო ბიულეტენზე დააფიქსირეთ ფრაიბურგის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შემავალი პარტიებისა და დეპუტატების თქვენი სიმბოლური არჩევანი. არჩევნები მიმდინარეობს 9 საათიდან 17 საათამდე. ხმის მისაცემად საკმარისია სრულწლოვანების დამამტკიცებელი რაიმე საბუთი, ასევე თან უნდა იქონიოთ ფრაიბურგში ცხოვრების მინიმუმ 3 თვის დამამტკიცებელი საბუთი. დარეგისტრირება გვართ და სახელით არ ხდება. ასევე ვიწვევთ გერმანიისა და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებს ხმის მისაცემად სოლიდარობის ნიშნად.

### ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ყველა ემიგრანტს! თანასწორუფლებიანობა გერმანიის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად!

საარჩევნო ოლქი 100% ორგანიზებულია ფრაიბურგის საზოგადოების მიერ. ფრაიბურგის ემიგრანტთა ასოციაცია მხარს უჭერს ამ ინიციატივას და მოუწოდებს ფრაიბურგის მაცხოვრებლებს მონაწილეობა მიიღონ ამ სიმბოლურ აქციაში.

საარჩევნო უბანი  
ღიაა 9-17 საათამდე

MigrantInnenbeirat	Uhlandstr. 2 / Haus d. Jugend	Wiehre
Stadtteilbüro Weingarten	Krozinger Str. 11 (im EKZ)	Weingarten
Volkshochschule / VHS	Rotteckring 12	Innenstadt
Arrony Beauty & Food	Schreiberstr. 18	Innenstadt-Süd
Akademische Plattform Harmonie Bildungsforum	Schwabentorring 2	Schwabentor
Assoc. Crist. Lavoratori Italiani / ACLI	Schwarzwaldstr.6/Falkensteinstr.	Oberwiehre
Quartiersbüro westl. d. Merzhauserstr.	Merzhauserstr. 12 / Basler Tor	Unterwiehre
Studentensiedlung / StuSie-Bar	Sundgauallee/ Haus 36	Bischofskreuz/ Betzenhausen
Spanische Begegnungsstätte	Komturstr. 36 (Caritas)	Brühl-Beurbar.
Stadtteiltreff Brühl-Beurbarung	Tennenbacher Platz	Brühl-Beurbar.
Mesopotamisches Kulturzentrum	Merianstr. 26	Innenstadt-Nord
E-Werk	Escholzstr. 77	Stühlinger
Nachbarschaftswerk Stadtteilbüro Haslach	Markgrafenstr. 13	Haslach
Radio Dreyeckland	Adlerstr. 12	Im Grün
Stadtteiltreff Glashaus	Maria-von-Rudloff-Platz 2	Rieselfeld

მოძრავი საარჩევნო უბნები

Littenweiler / Flüchtlingswohnheim	Hammerschmiedstraße	h 11.00 – 10.00
Vauban / Student.-wohnheim	Parkplatz / bei Marie-Curie-Str.	h 12.30 – 11.30
Landwasser	vor EKZ / Auwaldstr. 90	h 13.45 – 13.00
Stühlinger / Flüchtlingswohnheim	Bissierstr. 7 / Einfahrt	h 15.00 – 14.00
Breath of Life Chapel /Ev. Freikirchl. Gem.	Stefan-Meier-Str. 145	h 16.30 – 15.30

ხმა შეგიძლიათ მისცეთ ყველა აქ ჩამოთვლილ უბანზე.  
თან იქონიეთ ასაკის დამადასტურებელი საბუთი (პირადობის მოწმობა, ფრაიბურგში რეგისტრაციის საბუთი). გვარი-სახელი არ ფიქსირდება. არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ პირადი გამოცხადების საფუძველზე.

შეგახსენებთ, რომ თქვენი ხმა არ იმოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის და ევროკავშირის პარლამენტის არჩევნების ოფიციალურ შედეგებზე.  
საარჩევნო ოლქი 100% არ წარმოადგენს ოფიციალურ უწყებას.

არჩევნების მთავარი ოფისი + კაფე

Südwind	Faulerstr. 8	h 22.00 – 9.00
---------	--------------	----------------

არჩევნების შედეგები შედეგები შეგიძლიათ იხილოთ 19 საათიდან **bei Südwind**